ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №26

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]” ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტის საფუძველზე- გამარტივებული შესყიდვით, ერთის მხრივ **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს** (ქ.ბათუმი, ვ.გორგასალის ქ.№126) წარმომადგენლის სამმართველოს უფროსის მაია ივანიშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ **ი.მ. „გივი შავიშვილი“** (ქობულეთის რაიონი, სოფ. კოხი, მე–5 ქ. №7. ფაქტობრივი მის: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა №4), სახით შემდგომში „მიმწოდებელი“, ვაფორმებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით “მიმწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას მომსახურება გაუწიოს საარქივო სამმართველოს ბალანსზე რიცხულ (ორი ერთეული მსუბუქი, ერთი ერთეული ჯიპის ტიპის და ერთი ერთეული მინივენი (მიკროავტობუსი)) ავტომობილებს კომპლექტში გარეცხვა-გასუფთავებაზე (CPV-50112300).
1.2. მიწოდების ადგილი – ქ. ბათუმი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო მომსახურების თანხა შეადგენს 525 (ხუთასოცდაოთხი) ლარს.
2.2. მსუბუქი ავტომანქანა - 25 გარეცხვა, თითოეული გარეცხვის ღირებულება 12 (თორმეტი) ლარი, სულ 300 (სამასი) ლარი. ჯიპი - 7 გარეცხვა, თითოეული გარეცხვის ღირებულება 15 (თხუთმეტი) ლარი, სულ 105 (ასხუთი) ლარი. მინივენი (მიკროავტობუსი) 8 გარეცხვა, თითოეული გარეცხვის ღირებულება 15 (თხუთმეტი) ლარი, სულ 120 (ასოცი) ლარი.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესრულებული სამუშაოს ღირებულება.
3.2. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
3.3. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნით, მომსახურების მიწოდება განახორციელოს ეტაპობრივად, ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. გარანტია

4.1. „შემსრულებელი“ იძლევა გარანტიას გაწეული მომსახურება, მისი ხარისხი და ყველა სხვა მახასიათებლები შეესაბამება „შემსყიდველის“ მოთხოვნებს.

5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
5.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, მიღება-ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
6.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. უფლების გადაცემა

7.1. „მიმწოდებელმა” „შემსყიდველის” წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობის დარღვევისას

8.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
8.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს), მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 20 %-ის ოდენობით.

8.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10 %-ის ოდენობით.

8.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება. ასევე უფლება აქვს შემსყიდველს ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება ამავე მუხლის 7.3. და 7.4. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ერთმა მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება წერილობით უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

10.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდემა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

10.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი ან შეამოწმოს შესრულებული სამუშაო. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

11.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

11.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, შესრულებული სამუშაოს რეაბილიტაცია და კონტროლის შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

11.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. შესრულებული სამუშაოს მიღება – ჩაბარება

13.1. შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ „დამკვეთის" მხრიდან პრეტენზიის არქონის შემთხვევაში.
13.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირ(ებ)ია საარქივო სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ავთანდილ ჩახვაძე ან ამავე სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – მძღოლი ლაშა კეჟერაძე.
13.3. შესრულებული სამუშაოს მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
14.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

16. შეტყობინება

16.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
16.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. აღნიშნული ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრამდე.

18. გადასახადები და ბაჟები

18.1. შემსრულებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.
18.2. ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტებისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
	ქობულეთის რაიონი, სოფ. კოხი, მე–5 ქ. №7 ფაქტობრივი მის: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა №4
ქ. ბათუმი ვ. გორგასალის ქ. №126 **აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველო** *საიდენტიფიკაციო კოდი: 245429610* *მიმღების ბანკი:* ***ს.ს. „თიბისი ბანკი"*** *ბანკის კოდი: TBCBGE22* *ანგარიშის №GE62TB7901736010100015*	**ი.მ. „გივი შავიშვილი"** *საიდენტიფიკაციო კოდი: 61004058894* *მიმღების ბანკი:* ***სს „თიბისი ბანკი"*** *ბანკის კოდი: -TBCBGE22* *ანგარიშის № GE48TB7419345061100103*
სამმართველოს უფროსი: მ.ივანიშვილი	ინდ. მეწარმე: გ. შავიშვილი

Maia Ivanishvili 01018001437 Digitally signed by Maia Ivanishvili Date: 2023.06.05 14:43:38

Givi Shavishvili 61004058894 Digitally signed by Givi Shavishvili Date: 2023.06.06 10:35:43